ხელშეკრულება №3

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები)

25 იანვარი, 2019 წ.

გორი

ერთი მხრივ **„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, იამზე თინიკაშვილის სახით, მეორე მხრივ **შპს „მასტერ პლიუსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახაბერ ბედიანიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მხარეთა ვალდებულებები

1.მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მიაწოდოს პერსონალური კომპიუტერის კვების ბლოკი (უზრუნველყოს დაზიანებული კვების ბლოკის შეცვლა);

2. შემსყიდველი ვალდებულებას იღებს, მიმწოდებელს, გაწეული მომსახურების მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში გადაუხადოს შეძენილი საქონლის შესაბამისი საფასური.

2. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულებაა 45 (ორმოცდახუთი) ლარი.

3. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვების ბლოკის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილი ვადის მიხედვით.

3.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

3.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს დირექტორი იამზე თინიკაშვილი;

5. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღე, სტალინის ქ. #16.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის **გაფორმების შემდგომ.**

6.3 **შემსყიდველი იღებს** ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

6.4 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი იამზე თინიკაშვილი.

6.5 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი კახაბერ ბედიანიძე.

6.6 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

7.2 თუ მიმწოდებელი **გაურთიერთ**ილების შემდეგაც გონივრულ ვადაში არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, **შემსყიდველს** უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

7.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 28 მარტის ჩათვლით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული **გარემოებების** შედეგი.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა **მხარემ, რომლისთვისაც** შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
გაზეთი „გორის მაცნე"
ს/კ-417873849
მისამართი: ქ.გორი სტალინის 16
ტელეფონი: 0370 27 34 83
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
740907499

დირექტორი იამზე თინიკაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „მასტერ პლიუსი"
ს/კ 417874795
ტელეფონი: 595 55 70 69
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE84TB7684936020100004
„თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22

დირექტორი კახაბერ ბედიანიძე

Kakhaber Bedianidze

Подписано цифровой подписью: Kakhaber Bedianidze
Дата: 2019.01.30 16:45:57 +04'00'